საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2017 წლის 8 მაისის

დადგენილება №2417

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის
სადისერტაციო საბჭოს შექმნისა და სადისერტაციო საბჭოს
დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ და სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 5 მაისის გადაწყვეტილების (ოქმი №9) საფუძველზე **აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. შეიქმნას სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო სოციალურ მეცნიერებათა და საერთაშორისო ურთიერთობების დარგის /სპეციალობის მიმართულებით;

2. დამტკიცდეს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება თანდართული სახით;

3. ამ დადგენილების პირველი პუნქტით შექმნილი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვროს სტუ-ის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დამტკიცებამდე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე